საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9030/01
24/08/2021

9030-01-2-202108241755

შპს „აგრარის“ დირექტორს ვანო იოსელიანს
ელ.ფოსტა: abesalomchkhikvadze@gmail.com

ბატონო ვანო,

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 5 აგვისტოს N13920 წერილი, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების მიმდებარედ სოკოს საწარმოში კომპოსტის წარმოების სკრინინგის განცხადებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „აგრარის“ დაგეგმილი აქვს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებას მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებულ 3000 მ2 ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე კალმახა სოკოს საწარმოს მოწყობა, ხოლო წარმოების ტექნოლოგიაში გათვალისწინებულია კომპოსტის წარმოება (ნარჩენების აღდგენას). შესაბამისად, სკრინინგის განცხადება სამინისტროში წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' II დანართის 10.3 ქვეპუნქტის (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაციის თანახმად, კომპოსტის (სუბსტრატის) მოსამზადებლად უფრო ხშირად იყენებენ ხორბლის ნამჯას, ასევე სიმინდის ნაქუჩს და ჩალას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ტექნოლოგიურ პროცესში განხილულია მხოლოდ ხორბლის ნამჯის გამოყენება (მისი წყალში დალბობა, თერმული დამუშავება, მდუღარე წყალში დაქუცმაცებული ნამჯის 75 გრადუს ტემპერატურაზე 1 საათის განმავლობაში დაყოვნება), ოთახის ტემპერატურამდე გაციების შემდეგ მასში მიცელიუმის შეტანა (კალმახა სოკოს დათესვა) და აღნიშნული მასის სპეციალურ პარკებში მოთავსება.

დაზუსტებას საჭიროებს კომპოსტის წარმოებაში გამოყენებული იქნება მხოლოდ ხორბლის ნამჯა თუ სხვა ნედლეულიც, ასევე კონკრეტულად რა ტექნოლოგია იქნება გამოყენებული.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე